შეჯიბრის წესები

1. საშეჯიბრო გზა

შეჯიბრი ტარდება არასაერთო სარგებლობის გზაზე, რომელიც სპეციალურად არის მოწყობილი და მომზადებული შეჯიბრების ჩასატარებლად. საშეჯიბრო გზა მოიცავს დაახლოებით 7 კმ სიგრძის, საშუალო სირთულის რელიეფს, ხელოვნური და ბუნებრივი დაბრკოლებებით, რომლის მიზანია როგორც მოტოციკლების ტექნიკური შესაძლებლობებისა და საიმედოობის, ასევე მრბოლელთა გამძლეობისა და მართვის უნარების გამოცდა.

საშეჯიბრო გზაზე არსებული ნებისმიერი სირთულე, რომელიც წინასწარ არ იყო გათვალისწინებული, განიხილება შეჯიბრის შემადგენელ ნაწილად და აღნიშნული მიზეზით წარმოდგენილი საჩივარი არ განიხილება.

საშეჯიბრო გზა უნდა იყოს განვლადი სხვადასხვა ამინდის პირობებში და შესაბამისი სირთულის უნდა იყოს ექსპერტ, მოდერეითი და ჰობი კლასების მონაწილეებისთვის.

2. ენდუროს დისციპლინის კლასები

შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია შემდეგ კლასებში:

- ექსპერტი (Expert)
- მოდერეითი (Moderate)
- ჰობი (Hobby)

3. საშეჯიბრო გზები

შეჯიბრი ტარდება სამი სხვადასხვა სირთულის საშეჯიბრო გზაზე — ჰობი, მოდერეითი და ექსპერტის კლასებისთვის. აღნიშნული გზები ცალ-ცალკეა განსაზღვრული შესაბამისი კლასებისთვის, თუმცა საშეჯიბრო გზის ცალკეულ მონაკვეთებზე ისინი ერთმანეთს კვეთენ.

4. სტარტის პროცედურა და შეჯიბრის ფორმატი

სასტარტო ხაზზე მონაწილეები განლაგდებიან სასტარტო ნომრების თანმიმდევრობის მიხედვით.

სტარტს ერთდროულად იღებს 10 მოტოციკლი. შემდეგი 10 მონაწილე სტარტს იღებს 30-წამიანი ინტერვალის შემდეგ და იგივე პრინციპით გრძელდება სტარტის პროცედურა.

მონაწილემ შეჯიბრისთვის განსაზღვრულ 3-საათიან დროში უნდა გაიაროს მაქსიმუმ 3 წრე და მინიმუმ 1 წრე.

გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც განსაზღვრულ მაქსიმალურ რაოდენობას — 3 წრეს — ყველაზე მცირე დროში გაივლის.

შედეგების დათვლა და მონაწილეთა პოზიციების განსაზღვრა განხორციელდება თითოეული კლასისთვის ცალ-ცალკე.

მონაწილეს, რომელიც შეჯიბრისთვის განსაზღვრულ 3-საათიან დროში ვერ დაასრულებს მინიმუმ 1 წრეს, შედეგი არ ჩაეთვლება.

მონაწილე თავად არის პასუხისმგებელი გავლილი წრეების რაოდენობის კონტროლზე და ვალდებულია, 3 წრის დასრულებისთანავე, ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ, შეწყვიტოს შეჯიბრში მონაწილეობა.

5. ჩეკპოინტის გავლა

ჩეკპოინტზე მონაწილე ვალდებულია შეჩერდეს, რათა მსაჯმა დააფიქსიროს მისი სასტარტო ნომერი.

თუ მონაწილე გამოტოვებს საშეჯიბრო გზაზე განთავსებულ მისთვის განსაზღვრულ რომელიმე ჩეკპოინტს, მისი შედეგი არ ჩაითვლება.

საშეჯიბრო გზიდან განზრახ გადახვევის ან მისი დატოვების შემთხვევაში მონაწილე ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

თუ მონაწილეს რაიმე მიზეზით მოუწევს საშეჯიბრო გზიდან გადასვლა ან მისი დატოვება, იგი ვალდებულია საშეჯიბრო გზას დაუბრუნდეს ზუსტად იმავე ადგილიდან, საიდანაც გზიდან გადავიდა.

განრიგი

11:00–13:00 — სასტარტო ნომრების გაცემა
13:00–13:30 — სასტარტო ბრიფინგი
13:30–13:55 — მონაწილეთა განლაგება სასტარტო პოზიციებზე
14:00 — შეჯიბრის სტარტი